

ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის
N38 ბინაზე, მოქალაქე ივანე ჟორჯოლიანისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამი განხილული იქნა ხარეზავას ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის N38 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ივანე ჟორჯოლიანის განცხადება /2012 წლის 15.08 Nქ-6628/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის N38 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის N38 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ივანე ჟორჯოლიანს.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /ვ.აბულაძე/, ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის N38 ბინაზე /საერთო ფართობი 29,52 საცხოვრებელი ფართობი 17,08 კვ.მ, დამხმარე ფართობი 12,44 კვ.მ./ მოქალაქე ივანე ჟორჯოლიანის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ი.ჯიქია